

572
1954

4 G.K.A

ლიტა

აქველი ტურე ქვენი,
აღმზე, იური შინე,
და შუი, ქანთელი, სეველია
ხელსაღა კახურე.

№ 12 საბავთვეროს ვაკე ცენტრალური კომიტეტის
შარხალი მდიანფორმაციათონის დამკვეთი
1954



სტალინი ღვინთან

მის ნათელ გზაზე, მთელ გზაზე
საქმით, კალმით და ენითა
ის მასთან იყო, დიდ მძასთან,
დიდ მასწავლებელ ღვინთან.

როცა გიგანტებს სჭედავდა,
როცა ქალაქებს აკებდა,
დიდი ღვინის უსასლერო
სიყვარულს კვიებდავებდა.

ქვეყანას ჰფენდა მის სიბრძნეს,
მის სიძამცეს აქებდა...

დიად ვოლგა-დონს ანთებდა —
ღვინის სახელს არქმევდა.

ნათლად იცავდა მის სსოვნას,
ერთ სრდილსაც არ აუარებდა;
ასე მოჰყავდა ქვეყანა
მას კომუნისმის კარბთან.

დღეს, როცა მძვირად ისვენებს,
თითქოს დაღლილი ფრენითა —
იქა წევს, მავსოლეუმში, —
სტალინს იქ სმინავს ღვინთან.

ირაკლი აბაშიძე





იოსებ ბესარიონის-ძე
სტალინი





ქ. კლისაგალაშვილი

ნახატები 3-ჯაფარიძისა და მ. რინინიძისა

ისევ თოვდა.

მსუბუქი, თეთრი ფიფქები ჩუმად ას-
დებოდნენ თამარის ნაწნავებს, მაგრამ
დედამ კნაპას პატარა კონა მინც იყიდა
და სახლ-მუზეუმის სანახავად წაიყვანა,
დღეს ხომ სტალინის დაბადებიდან სა-
მოცდა თხუთმეტი წელი შესრულდა!

— შენოდენა რომ იყო ძია სტალინი,
ამ ეზოში დარბოდა, შვილო!—უთხრა
დედამ თამარს და სვეტებიანი თალით
გადახურული აგურის შეუღლესავი სახ-
ლის წინ გააჩერა.

თამარს არასოდეს არ ენახა აქაურობა;
პატარა, უბრალო და ლამაზი სახლი
თამარს ზღაპრების წიგნში დახატული
მზეთუნახავივით მოეწონა.

სახლ-მუზეუმის სვეტებიანი აივანზე ბევ-
რი ხალხი იყო. რიგი მიდიოდა, რიგი
მოდიოდა.

— აქ დაიბადა და ბავშვობის წლები
გატარა დიდმა სტალინმა — უხსნიდა
სტუმრებს მუზეუმის თანამშრომელი.

— ეს რა არის?— მიუთითა თამარმა
ფარდაგადაფარებულ ძველებურ ტახტ-
ზე.

— ტახტია, შვილო, ამაზე ეძინათ
ხოლმე.

— ეს?— იკითხა მოხარატებულ განჯი-
ნაზე.

— მაგაში ჯამ-პურქელს ინახავდნენ.

— ის?— ანიშნა პატარა სკივრზე.

— ეგ, ნივთების შესანახავია. ხმა-
დაბლა— უხსნიდა დედა თამარს, რომ-
ლის გამბრწყინებელი თვალები დაბალ
კარადაზე დადგმულ თითბრის სამოვარს,
ხის ჩარჩოში გამართულ მრგვალ სარკეს
და ნავთის ლამპას შეაჩერდა.

— ლამპა!— თქვა თამარმა თავისთვის.

— მაგით ოთახს ანათებდნენ. მაშინ
ისეთი შუქი კი არ იყო, ახლა რომ
გვაქვს.— უთხრა დედამ თამარს, როცა
სახლ-მუზეუმის თანამშრომელმა ერთ-ერთ
სტუმარს თანხმობით მიუგო:

— დიახ, პატარა სოსოს განსაკუთრე-
ბით უყვარდა წიგნი.

თამარი ახლა თეთრი სუფრით გადა-
ფარებული მაგიდის ახლოს იდგა.

აი, ამ მაგიდასთან იჯდა ხოლმე!—
გაიფიქრა თამარმა. უეცრად წინ წაიწია
და კნაპას პატარა კონა, მაგიდაზე მდგა-
რი ლიტრის გვერდზე დადო.

— არა, აქ არ შეიძლება!— უთხრა თა-
მარს ღიმილით სახლ-მუზეუმის თანა-
მშრომელმა და კონა დაუბრუნა.

თამარი გაწითლდა. განა თვითონ არ
უნდა იცოდეს, ყველამ რომ აქ თავიუ-
ლი დადოს, ოთახი უცებ ჰერამდე აივ-
სება.

დედამ თამარს ხელი მოჰკიდა და პა-
ტარა აივანზე გამოიყვანა. ხუთიოდე
კიბე თამარმა და დედამ ერთად ჩაიარეს.

უეცრად თამარმა დე-
დას ხელი გაუშვა.
უკან შებრუნდა და
კნაპას წითელი კონა
მოაჯირთან დადო.


თითქოს ყურადღე-
ბისთვის მადლობის
ნიშნად, თამარის მხარ-
თან დათოვლილი დაფ-
ნის ბუჩქის შტო შე-
ირხა.

თოვლის თეთრი
ფიფქები ჩუმად და-
ვიცდნენ თამარის ფე-
ხთან.

მე კი, ამას წავიღებ
შენგან სამახსოვროდ!
— გაიფიქრა თამარმა
და ბუჩქს პრილა ფო-
თოლი შეეცალა.

— აბა, როგორ შეი-
ძლება! უველამ რომ
თითო ფოთოლი მოს-
წყვიტოს, ხომ გახმება
ბუჩქი! — მოაგონდა თა-
მარს ღედის დარიგე-
ბა.

ის კი არ იცოდა
თამარმა, რომ დაფ-
ნის პრილა ფოთო-
ლი სტალინის სახლ-
მუზეუმის სანახავად
მოსულმა ბევრმა უც-
ხოელმა სტუმარმა წაიღო სამახსოვ-
როდ: ინდოეთში, ჩინეთში, საფრანგეთ-
ში, ინგლისში, ნორვეგიასა და ესპანეთ-



ში... მაგრამ სტალინის დაფნა კი არ
ხმებოდა, პირიქით, იფურჩქნებოდა, იშ-
ლებოდა და ჰკვავოდა.

6620



აზერბაიჯანელი

6. სულიანოვი

ნახატები ზ. ლეჟანსი

ს ა მ ნ ი

შხაპუნა წვიმის შემდეგ გამოიღარა. პატარა აგილი ეზოში გამოვიდა, ხელე-ბი საყვირივით დაიჭირა პირთან და დაი-ძახა:

— ვალიდა, ვალიდა!..

სოტა ხნის შემდეგ აგილთან წითელ-ბაფთიანმა ვალიდამ მოირბინა. ვალიდა და აგილი სათამაშოდ ხესთან მივიდნენ, რომლის ძირშიც პატარა რუ ვალიდა.

იმთ ძლიან უყვარდათ წყალში თა-მაში. მაშინვე ფესსაცმელი გაიხადეს, იქ-ვე, ახლოს, პატარა ორმო ამოთხარეს და წყალი დააგუბეს.

— აგილ, როგორი დიდი გუბე გამო-ვიდა, დიდ თევზებსაც კი შეუძლიათ

იკურაონ, არა? — კმაყოფილებით თქვა ვალიდამ.

— რასაკვირველია, შეუძლიათ! — დაუდასტურა აგილმა და ტალახიანი ხელეები გუბეში ჩაიბანა.

სად იყო და სად არა, მათთან კულის ქიცივით მიირბინა ტოპლანმა.

— ტოპლან, ტოპლან! — მიეაღერსა აგილი და ზურგზე ხელი გადაუსვა.

აღერსით გათამამებულმა ტოპლანმა სიხარულით შეჰყეფა და აგილს ზედ შე-ახტა.

აგილი შეშინდა, ეგონა უკბენდა ძალ-ლი, შეჰყვირა და გაიქცა.

ფეხშიშველი აგილი პირდაპირ ეკ-ლებში შევარდა. ეკლებმა კოველმხრივ ჩხვლეტა დაუწყეს, ნაბიჯი ველარ გადად-გა და ატირდა. თან უკან იყურებოდა, ძალი კიდევ ხომ არ მომდევსო.

აგილის ტირილით შეშინებულმა ტოპლანი კი სადღაც მიმალულიყო.

აგილის ტირილის ხმაზე ვალიდამ მოირბინა.

— უი, უი... ეს რა მოგსვლია! — შე-წუხდა ვალიდა და სცადა მეგობარი ეკ-ლებიდან გამოეყვანა, თან თვალებზე ცრემლებს უწმენდა.

ირგვლივ ეკლიანი ბუჩქები იდგა. ეკ-ლების შიშით აგილი განძრევასაც ვერ ახერხებდა. ვალიდა ჩააფიქრა აგილის მდგომარეობამ. ხელში აყვანაც დაუპი-რა, მაგრამ ძალი არ ეყო.





მ ნ ე რ ლ ე ბ ი

— მოვიგონე! — სიხარულით შესძახა ვალიდამ, სწრაფად გაიხადა ფეხსაცმელები და აგიღს გაუწოდა.

— აპა, ჩაიცვი!

აგილი უსიტყვოდ შესტკეროდა ვალიდას, რომელიც ეკლების შიშით თითის წვერებზე აწეულიყო.

— რას მიყურებ? ჩაიცვი... — ხელმეორედ შესთავაზა ვალიდამ.

— მერე შენ? განა სულ ერთი არ



არის, მე ვიქნები ფეხშიშველა, თუ შენა?!

აგიღს სიხარულის ცრემლები მოერია და ფეხსაცმელი უკან გაუწოდა.

უცხად, ბავშვებთან ქაქანით მორბინა ტოპლანმა, რომელსაც ნემსებივით წვრილ კბილებში აგიღის ცალი ფეხსაცმელი ეჭირა.

ტოპლანის საქციელმა მეგობრები აღტაცებაში მოიყვანა.

— ჩვენ მესამე მეგობარიც გვეყოლია და არ ვიცოდით! — თქვა აგილმა, რომელსაც დაავიწყდა ეკლების სიმწარე.

ვალიდამ აგიღს ცალი ფეხსაცმელი მიაწოდა და მხარში ამოუღდა, რომ ასკინკილათი გამოსულიყო.

ტოპლანი კი სიხარულით იყეფებოდა.

ზ. კაპიბა

მ ზ ე ს უ მ ზ ი რ ა

სანუბერმა აიღო ერთი მუჟა სათესლე მზესუმზირა და გადაწყვიტა დაეთესა.

— სანუბერ, მოდი, ერთად დაეთესოთ, უფრო ბევრი გვექნება! — სთხოვეს სანუბერს ბიჭებმა.

— არ მინდა, მე თვითონ უნდა დაეთესო! — სანუბერმა ზურგს უკან გადამალა მზესუმზირა.


— როგორც გინდა, მხოლოდ მერე არ ინანო! — გააფრთხილეს ამხანაგებმა სანუბერი და მზესუმზირას დასათესად დაიწყეს ადგილის შერჩევა.



ილდირინი ბიჭებში ყველაზე ღონიერი იყო, ამიტომ მიწის დაბარვა მან ითავა. ახატმა გაზეთში შეხვეული მზესუმზირა მოიტანა და ნაბარზე მიმოაბნია. სელიმმა კი პატარა კასრით აუზიდან წყალი მოიტანა და ნათესი მორწყა.

— ელჩინი რა გვექნა? — თვალში დააკლდა ილდირინს მეოთხე ამხანაგი.

— აგერ მოდის, ნეტავ სად იყო? — ახატმა ამხანაგები ელჩინისაკენ გაახედა.





ელჩინი სწრაფად მოდიოდა. მას ხელში
რაღაც ეჭირა.

— რა არის ეგ, ელჩინ?— შეეკითხნენ
ერთხმად ამხანაგები.

— ბაღეა, თევზების დასაქერი.— დინ-
ჯად მიუგო მან ბაღე გაშალა.

— სათევზაოდ აპირებ წასვლას?— შე-
ეკითხა ილდირინი.



— აბა, რას ამბობ, ილდირინ? რა
დროს სათევზაოდ წასვლას?— იწყინა ელ-
ჩინმა, — ეს ბაღე ჩვენი ნათესის შემოსა-
ლობად მოვიტანე, რომ კრუხ-წიწილამ
არ გაქეკოს და არ ამოკენკოს.

ბავშვებმა მაშინვე გამოიხატეს ჯოჯობი,
ნათესის გარშემო ჩაარქვეს და ზედ ბაღე
შემოახვიეს. ნათესს თითქმის ყოველდღე
რწყუდენენ; მოუთმენლად ელოდნენ მზეს-
უმზირას გაზარლას.

გავიდა დრო.

ბავშვებმა შეამჩნიეს, რომ ნათესი მოი-
ფინა მწვანე პატარა ფოთლებით, რო-
მლებიც მალე წამოიზარდნენ და გახ-
შირდნენ. თანდათან ტანიც აიყარეს და
ბოლოს ყვავილებიც გაეშალათ.

მზესუმზირას ყვითელი ყვავილები პირს
იქით იბრუნებდნენ, საითაც მზე იყო.

აუზის მეორე მხარეს, დაღონებული
ადამიანივით თავჩაქინდრული იდგა სან-
უბერის ერთი ღერი მზესუმზირა და გუ-
ლისტიკვილით დასცქეროდა ქათმებისა-
გან დაკენკილ ფოთლებს.

მოწყენილი დადიოდა სანუბერი. ის
გულდაწყვეტით უყურებდა ამხანაგების
მზესუმზირებს და გრძნობდა: მიწის გა-
თონხნა, წყლის მოზიდვა, ნათესის დარა-
ჯობა ერთ ადამიანს არ შეეძლო. ასე-
თი დიდი საქმისათვის კოლექტიური
მუშაობაა საჭირო.

ერთ მშვენიერ დღეს, ილდირინმა,
აზატმა, სელიმმა და ელჩინმა მზესუმზი-
რას ვეგებრთელა თავები მოსჭრეს, რომ-
ლებსაც ისე ბევრი თესლი ჰქონდათ,
რომ სიმძიმისაგან თავდახრილები იდგ-
ნენ. მათ მოსავლის ნაწილი სათესლედ
გადიანახეს, დანარჩენი კი ერთმანეთს
შორის თანაბრად გაიყვეს. არც სანუბერი
დაივიწყეს!.. დაუძახეს და იმასაც უწილა-
დეს.

თარგმანი ქ. ჭილაშვილისა



ახალი წელი ამოვიდა

ახალი წელი მოვიდა
თეთრი ფიფქების თოვითა:

მოვიდა, ფანდურს ჩამოშკრა,
შაირები თქვა ულფერი,
ნაძვის ხეს ნაირნაირი
ლაჰკიდა სამკაულები,
და მოფერებით, გულთბილად
აი რა გვითხრა პატარებს:
— მეც მას ვუმღერი, ვინც გულით
წიგნის სიყვარულს ატარებს!

ახალი წელი მოვიდა
საესე ჯანით და ღონითა,

მოვიდა. ფრთები შეგვასხა,
გვაბა, გაგვახალისა,
და გაგვიბრწყინა სურვილი
წარჩინებული სწავლისა.

ა. ონლი

გაგვიღიმა და გულთბილად
ასე მოგვმართა პატარებს:
— მეც იმასთან ვარ, ვინც მუდამ
ბეჯითის სახელს ატარებს!

ახალი წელი მოვიდა
მშვიდობიანი შრომითა!

მოვიდა მზით და აღმასით
მოავარაყა ქედები,
საამოდ ააღულუნა
ბანზე დამსხდარი მტრედები,
და მოფერებით, გულთბილად
აი რა გვითხრა პატარებს:
— ვუმღეროთ, ვაქოთ, ვინც გულით
ღიად მშვიდობას ატარებს!

თეთრი ფიფქების თოვითა.
ახალი წელი მოვიდა.

ბ ი ა,



მ ო დ ი...

გია, მოდი, რა კარგია:
გაშეხარა შენი ნახვა.
აღბათ წიგნი მომიტანე,—
ამ წუთშივე შევიწახავ.
მაგრამ, არა, დამიცადე,
გამოვწმინდო ჩანთა-ბარემ,
მიყვარს, წიგნს რომ ამხანაგი
თავის ღროზე ჩამაბარებს.
წიგნის მოვლა კარგად იცო,
წიგნს შენ როგორ ღაგიკავებ!

მ. კვიციანი



ავთანდილს კი არასოდეს
ახლოსაც არ გავიკარებ.
ნახე, როგორ დამიბრუნა
ერთი წიგნი ამას წინათ,
სულაც რომ არ მოეტანა,
მირჩვენოდა თასწილად.
წიგნს ეპყრობა ძლიერ ცუდად,
არცა ცდილობს გადაჩვენას.
წიგნებს ასე რომ ვუვლიდე,
ერთი ცალიც არ დამრჩება!



სახალწლო ზღაპარი



კლავდიკა აღმწიქი *



მზიამ ბარათი დაწერა,
თოვლის ბაბუას უგზავნის:
-გვიჩუქე კოხტა ნაძვის ხე,
გთხოვთ მე, თინა და ნუგზარი.“

მტრედმა წაიღო წერილი,
ათი ზღუა გადაატარა
და ბოლოს მითებში გამოჩნდა
ურნულის ქოხი პატარა.

წინ მოეგება მოხუცი,
შვეწოდა ვერცხლის კალარა
მტრედმა გადასცა ბარათი,
ვაბრუნდა, გზამ ვერ დაღალა.

თხოვნა ეამა ბაბუას
უბმო ვილაკის მახლით
და... გაჩნდა უცებ ქოხის წინ
ირეშშეშებული მარხილი.





მეგობრები

ვარდისფერკაბინამა და ლამაზბაბ-
თანმა გოგონამ, რომელსაც მზია ჰქვია,
ფრთხილად შეჰყო თავი ქიშკარში და
ეზო მოათვალღერა. ლალიმ კი ჩუმად
ჰკითხა:

— ხომ არ ჩანს?

— არა. ალბათ წავი-

და. — უპასუხა მზიამ.

მაშინ მეორეკლასელები
ეზოში შევიდნენ და ერთ-
ხმად დაიყვირეს:

— თალიკო!

ქვედა აივანზე კარი
გაიღო და გოგონამ გა-
მოიხედა. მეგობრები რომ
დაინახა, მხიარულად დაუ-
ქნია თავი:

— შემოდით, ნუ გე-
შინიათ, შოთა სხვაგან წა-
ვიდა, ხელს ვეღარ შეგვიშ-
ლის. — მერე კრელი წინ-
საფარი მოიხსნა და დაუმა-

ტა: — მე დედას ოთახის დაღობვაში
ვეხმარებოდი, ახლა კი „კლასობანა“
ვითამაშოთ.

თალიკომ ოთახიდან ცარცი გამოი-
ტანა, ეზოს შუაგულში „კლასი“ მოხაზა
და გოგონები შეუდგნენ „კლასობანას“
თამაშს; ის იყო ლალი „მესამე კლასში“
გადახტა, რომ უცებ ეზოში პატარა ბუთ-
ხუზა ბიჭი შემოვარდა; ბავშვები რომ
დაინახა, შედგა და მუქარით დაუსტვინა.



მერე საჩუქრის მთა გახსნა,
გვერდით რომ იდგა ბურჯივით, —
ტკბილფეულობით აავსო
ათი აბგა და ხურჯინი.

სწრაფმავალ თხილამურებით
აჰყვა მთის კალთებს, მწვერვალებს,
ჩამოიტანა ნაძვის ხე
ათასფერებით ელვარე.

მარხილში ჩაჯდა ბაბუა
და ნორჩი წელი ახალი.

ლალი, რომელიც ახლა „მეოთხე კლას-
ში“ გადაბრძანებას აპირებდა, ცალ-
ფეხზე გაშეშდა:

— შოთა! — წაიჩურჩულა შეშინე-
ბულმა.

— თამაშობთ? — დამცინავად წამოი-
ყვირა შოთამ, მერე მოკლე შარვლის
ჯიბეში ჩაიწყო ხელები და ბავშვებს
შეუბღვირა.

— ნუ გეშინიათ, გოგონებო, — წას-
ჩურჩულა თალიკომ მეგობრებს, — არა-
ფერს დაგვიშავებს.

თალიკომ გაიღიმა, ვითომ სულაც
არ შეშინაო და შესძახა:

— მოდი, შოთა, ჩვენთან ითამაშე.

შოთა გოგონების წინ შეჩერდა. მას
ქორხორი ყალყზე დასდგომოდა, მუხლები
ტალახში ჰქონდა მოსვრილი, ხელები
კი... ხელები — დაფხაქნილი, მელნით გა-
თხუზული, ქუჭყიანი ხელისგულები.

— რაო? თქვენთან ვითამაშო? — დამ-
ცინავად შეეკითხა და მხრები აიჩივა: —
ეგლა მაკლია გოგოებთან ვითამაშო!

მერე ერთხელ კიდევ გადაავლო თვა-
ლი შემკრთალ გოგონებს, ნახტომით
აივანს გადაეწყო და კარს მიეფარა.

გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს და

შეგებით ამოისუნთქეს. ლალი კი ხელად
გადასკუპდა „მეოთხე კლასში“. მაგრამ
ნაადრევი იყო მათი სიხარული. აივანზე
ხელახლა გამოჩნდა შოთა. იგი ველო-
სიპედს წოათრევედა და გოგონებს ეშმა-
კურად უთვალთვლებდა. შოთა ველო-
სიპედით სეირნობას შეუდგა. თან სულ
იმას ცდილობდა, ბორბლები პირდაპირ
„კლასებზე“ გადაეტარებინა; უსტვენდა,
აშინებდა გოგონებს, ველოსიპედს აჯა-
ხებდა.

თალიკო აყვირ-
და:

— ბებია! უთხა-
რით შოთას რამე!

შოთას ბებია
გოგონებს გადას-
ძახა:

— ამოდით, აი-
ვანზე ითამაშეთ!

მეტე რა გზა
იყო; გოგონებმა
ქვეები გადაყარეს
და აივანზე ავიდ-
ნენ. შოთამ კი
მზიარულად დაი-
ღრიალა:



სწრაფად დაიძრა ირემი
შორი გზის გადამალახავი.

... კარებთან შეხვდნენ ბაღლები
ახალ წელს, პაპას, ნაძვის ხეს,
იზეიმეს და იხარეს,
ოცნების ფრთები აისხეს.

მეც მათთან ვიყავ ზეიმიზე,
გვქონდა ლხინი და ვართობა.
ვუმღერეთ დედა-სამშობლოს
და ჩვენს ბედნიერ ბავშვობას.





როგორ მიფრინავდა წითელი აბრეშუმის ბაფთა, რომელიც შოთამ თავის ფრანს კუდად გამოუბა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. მეგობრები აცრემლდებულენ გააცივდნენ ეზოდან.

— საძაგელი ბიჭი! — დაიყვირა თალიკომ და სტუმრებს გაელეგნა.

* * *

— ვაშა! მტერმა უკან დაიხია! ახლა კი კინლამ ტირილი მორთეს ბავშვებმა, მაგრამ თალიკო ამხნევებდა:

— აივანზე უკეთესია თამაში!

— რა თქმა უნდა უკეთესია, — მხარო დაუჭირა მზიამ, — ავიღოთ საღებავები და ვხატოთ! — ლალიც დაეთანხმა, გამოიტანა ქაღალდი და საღებავები, გოგონებმა ფუნჯები აიღეს და შოთა მიივიწყეს.

შოთამ ველოსიპედი ეზოში მიაგლო და აივანზე აირბინა.

— მხატვრებს დამიხედეთ! — ჩაიხიბინათ მან, მაგრამ უკრადლებას არავინ აქტევედა. მაშინ იგი მზიას მიგბარა და თმებიდან ბაფთა მოაძრო.

— ბაფთა! ჩემი ლამაზი ბაფთა! — დაიქვივლა მზიამ და თავზე ხელები შეივლო.

გოგონები წამოხტნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო; აივანზე აღარც შოთა ჩანდა და აღარც ბაფთა.

თალიკო ოთახში დამალულ შოთასაკენ გაეშურა. მაგრამ სწორედ ამ დროს შოთა გამოვიდა ოთახიდან.

— დაწყნარდით, — ეშმაკურად თქვა მან, — აი, თქვენი ბაფთა! — და ონავარმა ჰაერში აუშვა თოკზე გამობმული ფრანი. ქაღალდის ფრანი შოთას ზურგს უკან იკლანებოდა. ხან ზევით აღიოდა, ხან კი ქვევით ეშვებოდა. შოთამ ხელი ჩამოსწია, ფრანი გველივით დაიგრისა, კუდი მოიქნია და წავიდა ზევით, სულ ზევით.

— ჩემი ბაფთა! — ყვიროდა მზია.

და მართლაც ყველამ დაინახა, თუ

გავიდა ზაფხული. დაღა პირველი სექტემბერი. ყველას უხაროდა და სკოლისაკენ მიიჩქაროდა. მარტო შოთა არ ებმებოდა საერთო სიხარულში, თუმცა მასაც ახალი ფორმა ეცვა და ქუდიც ახალი ეხურა. ანდა რა უნდა გახარებოდა, როცა შეიტყუო, რომ დღეიდან გოგონებს და ბიჭებს ერთად უნდა ესწავლათ. როგორ? გოგონებთან უნდა ესწავლა? იმ გოგონებთან, რომლებიც შოთას ათვალისწინებული ჰყავს და დასკინის კიდეც? შოთა განწყვენებული გაჰყვა სკოლისგზას. აი, გამოჩნდა სკოლაც. კარებთან ასეთი წარწერაა: „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა“!

შოთა ისე შევიდა დერეფანში, რომ სულ არ შეუხედავს გოგონებისათვის, რომლებიც მასთან ერთად აღიოდნენ კიბეებზე. რამდენი გოგონა! თეთრი ბაფთებით, ქათქათა წინსაფრებით. ყვავილებიც რომ უჭირავთ ხელში! რა მხიარულად ლაპარაკობენ ბიჭებთან... და უცებ მოსწავლეთა შორის შოთამ თვალი მოჰკრა თავის „მტრებს“: თალიკოს, მზიას და ლალის.

დავიღუპე! — შიშით გაიფიქრა მან, — ახლა ისინი ყველას უამბობენ ჩემს შესახებ!

შოთა ბიჭების ზურგს ამოეფარა, მაგრამ სწორედ ამ დროს ზარი აწყვირიალდა და ბავშვებმა კლასებს მიაშურეს.

მხოლოდ შოთა დარჩა დერეფანში.

ემზინოდა კლასში შესვლა. ერთ ხანს სახლში წასვლაც კი დააპირა, მაგრამ მასწავლებელმა შეაჩერა:

— რაო, დაგაგვიანდა? — ჰკითხა მან, — რომელ კლასში ხარ?

როცა გაიგო, რომ იგი მეორე კლასში სწავლობს და შოთა ჰქვია, მასწავლებელმა აღერსიანად მოჰხვია ხელი და კლასში შეიყვანა.

მოსწავლეებს უკვე აერჩიათ მერხები. შოთამ ამხანაგებს დაუწყაო თვალებით ძებნა, რომ რომელიმე მათგანთან დამჯდარიყო, მაგრამ ბიჭებს, რომლებიც გოგონებთან ისხდნენ, ყურადღებაც არ მიუქცევიათ მისთვის.

— აი, გოგონებო, — თქვა მასწავლებელმა, — კიდევ ერთი ახალი ამხანაგი მოგაყვანეთ. გაიცანით, შოთა ჰქვია.

და შოთამ შიშისაგან გაფართოებულნი თვალებით დაინახა, თუ როგორ წამოდგა თალიკო.

გათავდა! — გაიფიქრა შოთამ. თალიკომ გვერდზე გადახარა თავი და თქვა:

— ჩვენ ერთ ეზოში ვცხოვრობთ და ვიცნობთ კიდევ ერთმანეთს!

— ჩვენი ამხანაგიც არის! — ერთხმად წამოიძახეს მზიამ და ლალიმ.

მზია მერხიდან წამოდგა და მხიარულად დაუქნია თავი:

— მოდი, შოთა, ჩემთან დაჯექი! შოთამ უფრო მეტად დაირცხვინა და ღინჯად გაემართა მზიას მერხისაკენ.

გაკვეთილი დაიწყო. მოსწავლეებმა რვეულები ამოიღეს. შოთამაც ჩაჰყო ხელი ჩანთაში, მაგრამ შიგ არც რვეული და არც კალმისტარი არ აღმოჩნდა. შოთას მათი ჩალაგება დაეიწყებოდა. რა ჰქნას ახლა? უმწეოდ იყურებოდა ირგვლივ. უნდოდა რომელიმე ბიჭისათვის რვეული ან კალამი ეთხოვა. ვიდრე იგი ძებნაში იყო გართული, მზიამ მეორე რვეული ამოიღო და წინ დაუდო.

— აიღე, — უთხრა ჩუმად, — მე კიდევ მაქვს.

— აჰა, აიღე! — გაისმა შოთას ზურგსუკან. ახლა თალიკომ გაუწოდა კალმისტარი. შოთამ კალმისტარი აიღო და ბიჭებს ჩუმად გადახედა. არ უნდოდა ვინმეს შეენიშნა, რომ გოგოები დაეხმარნენ.

მასწავლებელმა გაიღიმა:

— აი, ბავშვებო, — თქვა მან, — რა კარგად ექცევიან შოთას გოგონები. ალბათ დამისახურა კიდევ. მეგობრობაც ასეთი უნდა!

გოგონებმა შოთას გაუღიმეს, მასწავლებელმა კი აღერსიანად გადაუსვა მას თავზე ხელი. შოთას შერცხვა, თავი დაბლა დახარა და ყურის ბიბილოები გაუწითლდა.

თავჩაღუნული სწერდა შოთა და თან ცალი თვალით მზიას რვეულში იყურებოდა. მზიამ ლამაზად, წესიერად ჩაწიპა ასოები. შოთასაც უნდოდა ასე ლამაზად ეწერა და გულმოდგინედ გამოყავდა ასოები, მაგრამ უეცრად შოთამ მზიას სუფთა, თეთრ ხელებს მოჰკრა



თვალი და საკუთარი ხელები მერხის ქვეშ შემაღა. თურმე როგორი ხელები ჰქონია! დაკაწრული, წინგოთი დასვრილი, ტყულიად კი არ ეუბნებოდა ბებია, რომ წინგო ხელებს აშავებსო. მაგრამ განა შოთა ვინმეს დაუჯერებდა?! ახლა კი სად წაიღოს ეს ხელები? ისიც წერის დროს. მეტი გზა არ იყო. ისევ ჩუმად ამოიღო ხელები. მერე მზიას გადახედა, ხომ არ მიყურებსო. მზიას თავი გვერდზე გადაეხარა და ბეჯითად სწერდა. შოთამ დაინახა, რომ გოგონას ხუჭუჭ თემებზე დიდი ბაფთის ნაცვლად წვრილი ლენტო ეყვო და მაშინვე გაახსენდა, თუ როგორ გააფრინა ფრანთან ერთად მზიას ბაფთაც.

დიდ შესვენებაზე გოგონები და ბიჭები ერთად საუზმობდნენ. შოთამ დიდი წითელი ვაშლი ამოიღო და მზიას გაუწოდა.

— მე უკვე ვკაპე. — უთხრა მან. მაგრამ ეს არ იყო მართალი, მას ვაშლი იმ დღეს სულაც არ უკაპია; მზიამ გამოართვა ვაშლი, შუაზე გაჭრა და ორივე შეექცა.

ბავშვები სკოლიდანაც ერთად დაბრუნდნენ, მაგრამ ალაყათან შოთა თა-

ლიკოს ჩამორჩა, — ვითომ მარტო მოველიო.

საღამოს შოთამ ვერაფრით ვერ გამოიყვანა ამოცანა. მეტი რა გზა ჰქონდა, ისევ თალიკოსთან წავიდა.

— შენ სწორად არ გადაგიწერია დავიდან. — უთხრა თალიკომ და თავისი რვეულიდან გადააწერინა ამოცანა. თან შეეკითხა:

— გინდა, ერთად მოვამზადოთ გვეთილები?

შოთა დათანხმდა.

ღამით შოთას დიდხანს არ დაუძინია; თურმე რა კარგები ყოფილან გოგონები, — ფიქრობდა იგი, — მე მათ ყოველთვის ცუდად ვექცეოდი. ისინი კი დამეხმარნენ. ახლა არასოდეს ვაწყენინებ! — გადაწყვიტა შოთამ და თითქოს მძიმე ტვირთი მოიშორაო, მეორე გვერდზე გადაბრუნდა და მშვიდად ჩაიძინა.

რამდენიმე თვე გავიდა. შოთა საახალწლოდ მიიპატიჟა მზიამ. მილოცვისას შოთამ მორცხვად გაუწოდა მზიას ქალაქში შეხვეული საჩუქარი — ჭრელი, ლამაზი ბაფთა.





ა. ლათაშვილი

ნახატები ზ. კახანაძისა

რ ა ვ ნ ა ხ ე თ

სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე მრავალი თვალწარმტაცი სანახაობა ერთი მეორეს სცვლის:

მწვანე სამოსელში გახვეულა დიდებული სასახლეები—გამოფენის პავილიონები.

მთავარი პავილიონის ლამაზი შენობის პირდაპირ თვალს იტაცებს შდრეგნების ხეივანი და ტბები. აქ წყლის კამკამა ტალღებში ნაუარღობენ გამოფენის პირველი ბინადრები — თევზები. იქვე მარცხნივ, გზას მივყვართ ვეებერთელა შენობასთან, ეს ნორჩი ნატურალისტების პავილიონია. აქ, შვიდი დარბაზის 73 სტენდზე გამოფენილია ბეჯითი მოსწავლეების ნამამაგარი.

ერთ-ერთი დარბაზის შუაზე, გრძელი და განიერი მაგიდა საესეა სათამაშოებისოდენა ტრაქტორების, ავტომობილების, გუთნებისა და სხვა მანქანების გულისხმიერად გაკეთებული მოდელებით. აქვეა ელექტროტრაქტორის ლამაზი მოდელი, რომელმაც დიდად დააინტერესა პატარა მნახველები.

ეს პატარა მანქანები ისე დაუშხადებიათ ნორჩ ტექნიკოსებს, რომ საჭიროებისთანავე მოძრაობენ, ასრულებენ სხვადასხვა სამუშაოს. ელექტროტრაქტორი

მუშაობს ელექტროენერგიით. მას საწვავი არ სჭირდება. მანქანების მოდელები დაამზადეს ომსკელმა პიონერებმა.

აქვეა ქართველი მოსწავლეებისაგან ლამაზად შესრულებული პაპიროსის ყუთის ოდენა რადიომიმღები აპარატი, სასკოლო რადიოკვანძის მოდელი.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მათ მიერ დამზადებული თესლის შესაწამლი გაუმჯობესებული აპარატი.

ოთველში, ყურძნის კრეფის დროს, მტევნის მოსაჭრელად დანას იყენებენ, ერთი ხელით მტევანი უჭირავთ, ხოლო მეორე ხელით ჭრიან, ამიტომ ორივე ხელი დაკავებულია; ნორჩი ტექნიკოსების ცენტრალური სადგურის მოსწავლეებმა გამოფენაზე გააგზავნეს ყურძნის საკრეფი მაკრატელი, რომელიც მტევანსაც სჭრის ვაზიდან და თვითონვე იკავებს მას საკრეფში ჩაშვებამდე.

დარბაზის მოპირდაპირე კედელში გაკეთებულია სოფლის პანორამა. პანორამაზე მოჩანს ლამაზი შენობები, სკოლის ორსართულიანი შენობას გვერდით მდინარე ჩამოედის, ეზოში ნორჩი ტექნიკოსების ხელით აგებული მეტეოროლოგიური სადგურია, სადაც ბავშვები ყოველდღიურ დაკვირვებას ახდენენ



ამინდზე. კედელთან დატანებულია თითის დასაჭერი ღილაკი. ამხსნელი თითით შეეხო მას. ბავშვების თვალწინ გადაიშალა საუცხოო სანახაობა: მუშაობა დაიწყო სკოლის ეზოს მახლობლად მდინარეზე აგებულმა ელექტროსადგურმა. სკოლა, საბჭო, კოლმეურნეობის კანტორა, სასოფლო კლუბი და კოლმეურნეობის ბინები სწრაფად გაჩირაღდნენ ელექტრონის ქახქახა შუქზე, ამუშავდა რადიოკვანძი.

ცოტა ხნის წინათ სოფელს არც ელექტროსინათლე ჰქონდა და არც რადიო. ამ მდინარის ტალღები უსარგებლოდ იკარგებოდნენ. — განაგრძობდა საუბარს ამხსნელი, — ამ სკოლის მოსწავლეებმა ფიზიკის მასწავლებლის დახმარებით შეისწავლეს მდინარის ენერგია ელექტროსადგურის ასაგებად. სკოლას დაეხმარა სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობა. მოკლე ხანში ახლად აგებული ელექტროსადგურით სოფელიც გაანათეს და რადიოც აამუშავეს. ელექტრო და რადიოგაყვანილობის ქსელი სკოლაშიც და სოფელშიც ნორჩმა ტექნიკოსებმა გააკეთეს.

ერთ-ერთი დარბაზი ნორჩი მეცხოველეების შრომას ასახავს. ბევრი მოსწავლე წარჩინებით სწავლობს და კოლმეურნეობასაც ეხმარება შინაური პირუტყვის გამოზრდაში. პავილიონის წინ, ორ ჰექტარ ფართობზე გადაკომულია საექსპონატო ნაკვეთი — ბაღი. ჩვენი ქვეყნის მრავალი სკოლის მოსწავლეებს აქ მოუტანიათ და დაურგავთ მრავალი ჯიშის ხეხილი, ვაზი, ბოსტნეული, მრავალფეროვანი, სურნელოვანი ყვავილები. ბავშვები მიჩურინის ბაღში შევიდნენ. აქ, დიდი მეცნიერის ძეგლი დგას. ბაღში ნაყოფმსხმოიარე ტოტებადახეილი ხეხილია. მრავალი ჯიშებია აქ დიდი მეცნიერისა და მისი მიმდევრების მიერ გამოყვანილი. აი, ბავშვები მიუახლოვდნენ ყველაზე საკვირველ ვაშლის ხეს. ამ ხესთან ყოველთვის მრავალი მნახველია. ბავშვები გაციდნენ ერთი ხის ტოტზე სულ სხვადასხვა ფერისა და სხვადასხვა სიდიდის ვაშლების ნახვით. მეცნიერებმა ამ ხეზე დამყნობით მოახერხეს 84 სხვადასხვა ჯიშის ვაშლის საუცხოო ნაყოფის მიღება. მიჩურინის ბაღში ბევრი რამ ახლად არის გაკეთებული დიდი მეცნიერ-



რის მოწაფეების მიერ. აგერ, ქარვისფერი ნაყოფებით დატვირთული ვაშლის ხეები. „ქათათა“ „მისისა“ „კეკლუცი“ და სხვა მრავალი ჯიშის მსხლის ხეები.

ბოსტნეულისა და კარტოფილის პავლიონის ნაკვეთებზე ბავშვებს ბევრი საინტერესო სანახაობა გადაეშალათ: კარტოფილზე დამყნობილი პომიდორი ფესვებზე საუცხოო ჯიშის კარტოფილის მსხვილ ტუბერებს იკეთებს, მისი ზედა დერო კი წითელი პომიდორით არის დატვირთული.

ნესვი ვერ იტანს სიცივეს, გოგრა სიცივის ამტანი მცენარეა. ნესვი და გოგრა კი მონათესავეებია.

ამიტომ, მცენიერებმა ნესვის ნორჩი მცენარე დაამყნეს გოგრის ახალგაზრდა დეროზე, შედეგად მიიღეს ახალი მცენარე, რომელიც გოგრასავით ღონიერია და გემრიელ ნესვს იხსამს.

მცხოველეობის პავლიონში ბავშვებმა ინახულეს დიდი წველადობის ძროხები: „კოსმა“ და „ზოზულია“; კოსმა დღეში 35 ლიტრ რძეს იწვევდა. ამდენ წყალს იგი სამ დღეშიც ვერ დაღვეს. დაახლოებით ამდენივე რძეს იძლევა „ზოზულიაც“. ამ ძროხების ხბორები ტანადი და ლამაზი შესახვედაობის არიან. მათ მშრუნელობით უვლიან და ზრდიან მოსწავლეები.

ხუჭუქმატყლიანი შავი და კრელი ბატყების ნახვამ ძლიერ გაახარა ბავშვები.

— ეს კარაკულის ჯიშის ცხვრებია, ძვირფასი ბეწვეულის მომცემი, — მამართა ბავშვებს ცხვრების მომვლელობა, — აგერ, ცალკე ბინაშია ერთი დედა ცხვარი, მის გარშემო ხუთი პატარა კრავია, ყველანი ერთი ფერისაა და ტოლები არიან.

აღმათ დედა დაეღუპათ და ამ ცხვართან იზრდებიან. — გათიქრეს ბავშვებმა.

— ეს გაუმჯობესებული ჯიშის ცხვარია, ბავშვებო; მან ერთ მოგებაზე ხუთი ბატყანი შობა და როგორც ხედავთ, ყველა კარგად არის. ამ ჯიშის ცხვრის ფარში ბევრი დედა ცხვარია, რომელიც ორ, სამ, ოთხ ბატყანს აჩენს და კარგადც ზრდის მათ.

ცალკე განყოფილებაში ასკანიის ჯიშის დაბამამაშვეებული ყოჩი ღვას აშაყად.

— ამ ყოჩის წონა 146 კილოგრამია! — უთხრეს პატარებს. ასეთი წონა ზოგიერთ მოზვერსაც კი გაუჭირდება. მას საკმაოდ გრძელი და რბილი მატყლი აქვს, ეს ყოჩი წელიწადში ოცდაცხრა კილოგრამსა და ოთხას გრამ მატყლს გვაძლევს. ამ მატყლით ასეული მეტრი ძვირფასი ქსოვილი მზადდება. ჩვეულებრივი ჯიშის ცხვარი კი წელიწადში 4—5 კილოგრამ მატყლს იძლევა.

მარცვლეულის განყოფილებაში პატარა მნახველები დიდად დაინტერესდნენ ახალგაშობილი უხვმოსავლიანი ხორბლის ჯიშით. აგერ გრძელთავთვანი ძნები, თვითიველ თავთავში ორასზე მეტი ქარვისფერი მსხვილი ხორბლის მარცვლებია. ჩვეულებრივი ჯიშის ხორბალში კი ასი მარცვალიც ძნელად გვხვდება. ახალი ჯიშის ხორბალს ხორბალქანვის ჰიბრიდი ეწოდება, ის მიღებულა ამ ორი მცენარის შეჯვარებით.

ბევრი რამ ნახეს ბავშვებმა მოსკოვში, გამოფენაზე, სადაც დიდ ნათელ პავლიონებში თავმოყრილია მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა სასოფლო-სამეურნეო მიღწევების საუკეთესო ნიმუშები.



6.4/2

5.24/24.



დაბვიანებული ბულბული



ი. შავიძე

ნახატი ბ. როინიშვილისა

დღეა ბუღბული ტირის,
 ცრემლი უსველებს თვალებს:
 — საღა ხარ, ჩემო ღამაზო,
 ვეილო, შენ გენაცვალე.
 შენ წესიერი იყავი,
 ჩემო პატარა ბავშვო,
 ხომ იცი, მთელი ოჯახი
 სრულ ცხრა საათზე ვვარშობთ.
 თითქმის თორმეტი შესრულდა,
 ნეტავ, ვნახავდე, ნეტავ...
 შენ შემოგვევლოს, ტიტინავ,
 შენი საწყალი დედა.
 ვახშამი უკვე მზად არის,
 უკვე მზად არის სუფრა.
 შენ კი, საღა ხარ, პატარავ,
 მამაშენს რაღა ვუთხრა!
 ვახშამდ მოგართმევ, ტიტინავ,
 ბუზის გემრიელ წვინანს,
 ჭია-ღუების ჩახობნილს,
 კოლოების მწვადს ცვრიანს...
 ბლის წვეინსაგან შემზადილს —
 კომპოტს რომ ეძახიან.
 შენ იქნებ რამე შეგემთხვა,
 თავზე დაგეცა მტერი,
 იქნებ ღამაზი ბუმბულით

ქრელად მოჰფინეს ველი.
 შენ იქნებ ხმა გამოგტაცეს, —
 იქნებ გამოგჭრეს ყელი.
 იქნებ ტოროლას ბანდას
 ვერ დაემაღე ვერსად,
 ტოროლა შურიანია,
 ენას სულ შხამზე ლესავს...
 იქნებ აღმოგხდა, პატარავ,
 საღმე ჩირგვებში კენესა...
 ბუმბულს ვინ ჩივის, ამოვა,
 ხმას — ვერ იყიდი ვერსად! —
 ამ დროს მოფრინდა პატარა,
 ხეზე შემოჯდა სტვენიო;
 — სად დაფრინავდი, სად იყავ,
 დედა არ გიყვარს შენი?
 მთელი საღამო ვღელავდი,
 თვალი ცრემლით მაქვს სველი!..
 — ო, მამატი, დედიკო,
 რომ გაწყყინე მეტად,
 გრილმა საღამომ მომზიბლა! —
 ტკბილი ხმით უთხრა დედას.

თარგმანი რევაზ მარგალიანისა

პ ა ს უ ხ ე ბ ი

- ჟურნალ „ღილა“ № 10-ში მოთავსებული გასართობის.
1. ამოცანა „ტყუპებში“. — რამაზს დარჩა 2 მსხალი, ლიდას კი 1.
 2. ამოცანა „ფანქარები“. — შიას ჰქონდა 4 ფანქარი, გელას 3, დიტოს კი 2.
 3. გამოცანები: 1. კვიცი, 2. ცხვარი, 3. აბრეშუმის ჭია, 4. სოკო.

ვდის მხატვრობა გუთუნის ვ. შლივანს გამოცემის ოფლაშეშვიდე წელი ზსნი 2 მან-

რედაქტორი იოსებ ნინეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშავილი, კ. ვაგაშვილი, მაყაღა მრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგალიანი, ი. ხახარაძე, ნ. უნაფიშვილი
 შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

Д И Л А — ежемесечный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 10, Ленинград, 1964 г. Тбилиси, Ленинна 14.
 საბლტაში. რედაქციის მისამართი: თბილისი, დენისი 14. მ სართ. ტელ. 5-57-08 გამოშტ. უკვე. № 115 სტამბის უკვე. № 1478/8816
 ტირაჟი 15.000 უკ 19512 ტექსტი ამუშავებულია პოლგრაფკომბინატ კომუნისტურ-სტამბაში, თბილისი ვაჟა-ფშაველას ოცდების
 სისტემისშეწყობაზე „პრია ოცობკას“ სტამბაში.